საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 300,000 მ.; უკანასკნელზე 200,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

კვირა, აპრილის 2
1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი
ტრიბუნა
ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.
1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.
უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.
ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან,
რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

განცხადება.

ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი

ამა წლის მარტის 25-ს სავალდებულო დადგენილების № 4 ცხოვრებაში გასატარებლად საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის ფარგლებში მდებარე სახლების მესაკუთრეთა რეგისტრაცია დაიწყება ამა წლის აპრილის 4-დან ქალ. აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებაში (ოთახი № 52).

მესაკუთრენი უნდა გამოცხადდნენ სათანადო განცხადების წარსადგენად, საანკეტო ფურცლის შესავსებად და სარეგისტრაციო ბარათის მისაღებად, შემდეგი წესით:

4 აპრილიდან—1-ლ უბანში მდებარე სახლების მესაკუთრენი.
11 „ 2 „ „ „ „
18 „ 3 „ „ „ „
25 „ 4 „ „ „ „
2 მაისს 5 „ „ „ „
9 „ 6 „ „ „ „
16 „ 7 „ „ „ „
23 „ 8 „ „ „ „
30 „ 9 „ „ „ „
6 ივნისი 10 „ „ „ „
13 „ 11 „ „ „ „
20 „ 12 „ „ „ „

ის სახლები, რომელთა მესაკუთრენი არ გამოცხადდებიან სარეგისტრაციოდ, [illegible]

ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი.

დღეს, აპრილის 2-ს დღის 12 საათზე

სასახლეში დანიშნულია

სრულიად საქართველოს საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

პრეზიდიუმის სხდომა

საქართველოს ც. ა. კ. მდივანი თ. კალანდაძე.

სიმშილი და თესვის კამპანია

ერთი უმწვავესი საკითხი, რომელიც იპყრობს დღეს ყველა ჩვენგანის ყურადღებას, სიმშილის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხია. საქართველოს მცხოვრებთ არ ახსოვთ ასეთი კატასტროფა, რომლის წინაშე ეხლა ის იმყოფება.

სიმშილობა თითქმის დაეპატრონა მთელს ჩვენს ქვეყანას და მაქსიმალურად ძალების დაჭიმვას მოითხოვს, რომ იგი ძლეულ იქმნეს.

სახელმწიფოს უმთავრეს მოვალეობას ყოველთვის შეადგენდა სურსათ-სანოვაგის მარაგისათვის ზრუნვა.

ძველად ხელისუფალნი ერევოდნენ ხალხის გამოკვების საქმეში და ამა თუ იმ პრივილეგიებს უქმნიდნენ ბაზარს, რომ სურსათი შემოსულიყო საკმაოდ.

სიმშილობის ნიადაგზე საზარელი სურათები ყოფილა ყოველთვის შექმნილი და დღესაც ანალოგიურ მოვლენებს ადგილი აქვს.

112 წ. გერმანეთის მცხოვრებნი სიმშილობის ნიადაგზე განახევრდა. ამ სიმშილობის ნიადაგზე გავრცელდა ყოველივე ბოროტ-მოქმედება, ქურდობა, მკვლელობა, თვითმკვლელობა და სხვა. ბავშვთა ჭამასაც მშობლების მიერ ადგილი ჰქონდა იმავე ნიადაგზე უნგრეთში 1505 წ.

საშუალო საუკუნეებში სიმშილი ყოველ ათეულ წელში მეორდებოდა, რასაც დიდი გავლენა ჰქონდა მცხოვრებთა შემცირებაზედ. 1866 წ. ოსტინდოეთში სიმშილით დაიღუპა 7 ნახევარი მილიონი სული, (ე. ი. 3 ჯერ მეტი ვიდრე მთლად ქართველი ხალხი). 1870—1872 წ. ოსმალეთში დაიღუპა სიმშილით 1 ნახევარი მილიონი ხალხი. 1877 წ. ჩინეთში სიმშილით დაიღუპა 6 მილიონამდე სული. 1601 წ. რუსეთში დიდი სიმშილობის დროს მცხოვრებნი იკვებებოდენ ყოველგვარი სუროგატით, რის ჭამაც კი შეიძლებოდა. მოსკოვში ადამიანის ხორცი იყიდებოდა ბაზარზედ. გვეუბნება მემატიანე.

ერთი სიტყვით ადამიანის სიცოცხლეს სიმშილის ღმერთი ყოველთვის ევლინებოდა, როგორც შეუბრალებელი დემონი და უსასტიკესი მსაჯული.

დღესაც რუსეთში და საქართველოშიაც ასეთივე მდგომარეობაა შექმნილი, რომელსაც ხელს უწყობს საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება და გალაღებულ ბურჟუაზიას სურს სიმშილის ნიადაგზე ჩაჰკლას რევოლიუციური მოძრაობა.

ჩვენი მდგომარეობა მით უფრო განსხვავდება რუსეთისაგან სიმშილობის ხრივ, რომ იქ, მთელი რუსეთის სივრცეზე, ჰავის სხვაობა ხელს უწყობს მოსავლის დაგროვებას ზოგიერთ რაიონებში მაინც.. ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა წინეთაც რუსეთში; როდესაც ერთი გუბერნია სიმშილით სულს დალევდა, მეორეში პური ლპებოდა, ასეთ მდგომარეობას ქმნიდა ტრანსპორტის უქონლობა.

დღესაც დამშეული რუსეთი კიდევ არ ყრის ფარ-ხმალს, რადგან მთელი რუსეთის სივრცით არა აქვს დამშევას ადგილი.

ჩვენში, მართალია დღეს არ არის დამშეული მთელი მცხოვრებნი, მაგრამ ესეც შესაძლებელია მომავალში თუ ხელოვნურად არ შევქმენით პირობები გვალვისა და ბუნების სხვა ძალთა წინააღმდეგ.

დღეს, ყოველ ნაბიჯზედ გვკივით დამშეულთა დახმარებაზე და ყულაბებით ვცდილობთ შევაგროვოთ დახმარება. ეს დღეს ერთი უკანასკნელი გამოსავალია და ამდენადვე აუცილებელიც. საერთოდ კი, ასეთი დახმარებანი ისეთი პალიატივია, რომელიც არსებითად ვერაფერს ვერ შესცვლის და სიმშილის მიზეზს ვერასოდეს ვერ მოასპობს.

თუ ჩვენ გვინდა, რომ მტკიცე საფუძველი იქნეს ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენ აუცილებლად უნდა შევსძლოთ ისეთი პირობების შექმნა, რომელიც საფუძველს ჩაუყრის მეურნეობის მაღალ კულტურას და გამოიყენებს ყველა იმ ბუნებრივ ძალებს, რითაც ასე მრავლად და მდიდრად ვართ დაჯილდოვებული.

უმთავრესად ყურადღება უნდა მიექცეს მორწყვის საქმეს. ეს შორეულ საკითხად არ შეიძლება გადებული იქნეს. დღესვე უნდა შევუდგეთ ამ საქმეს და მაქსიმუმი შესაძლებლობისა მომავალ წლისათვის უნდა მზად გვქონდეს. აგრეთვე უნდა ვიფიქროთ სათესლის ხარისხზედ.

უნდა მოვახდინოთ უტილიზაცია მთელი დაუმუშავებელი მიწის, რომელიც დღეს საძოვრად არის უმთავრესად დატოვებული, სახელმწიფომ სოფლის მეურნეთა კოოპერატივებისათვის უნდა შეიძინოს სამუშაო იარაღები. ხელი უნდა შევუწყოთ აგრეთვე კოლექტიური წე[illegible] დიდათ [illegible] სოფლის მეურნეობას და გააფართოვებს შრომის ნაყოფიერებას.

ამასთანავე აუცილებელია მდაბალი და საშუალო ტიპის აგრონომიული სასწავლებლები, რომელიც შექმნის მეურნეობისათვის მუშაკთა კადრს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სადღეისოდ არ გაკეთდება სავსებით, მაგრამ ამ საქმის დაწყება არ შეიძლება სამერმისოდ გადადებულ იქნეს.

აგრეთვე უნდა შეიქნეს განსაკუთრებული ფონდი დამშეულთათვის, როგორც არის ინდოეთში, სადაც ყოველ წლიურად გადადებულია 1.500.000 მილ. გირ. სტერლინგი.

დღეს კი ფრიად ძუნწი საშუალებანი გვაქვს ხელთ და ორი მხრით უნდა გავშალოთ ფრონტი, ერთი მხრივ დამშეულთა დახმარება ფართო მაშტაბით, ხოლო მეორე მხრით თესვის კამპანიის სათანადოთ ჩატარება.

ჩვენი სადღეისო ლოზუნგი უნდა იყოს —**ყოველივე დამშეულთათვის, არც ერთი ნაჭერი მიწის ვაცდენა.**

ამ ლოზუნგის რეალიზაცია უნდა იყოს ყოველი პატიოსანი მოქალაქის მოვალეობა.

დღეს მოღალატეა მარტო ის კი არ არის ვინც ინტერვენციაზე ოცნებობს, ვინც საბოტაჟს აწარმოებს, ვინც შავი განზრახვებით ხელს უწყობს ანორმალური მდგომარეობის შექმნას, არამედ მოღალატეა ყველა ის, ვინც დახმარებას არ გაიღებს დამშეულთათვის და ვინც დაუმუშავებლად დატოვებს ერთ პატარა ნაჭერ მიწასაც კი.

ყველა ჩვენგანი უნდა დავრწმუნდეთ იმაში, რომ ჩვენი პატარა წვლილი და მცირე შრომა უდიდესად საზოგადოებრივი მნიშვნელობის არის და წმინდა მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულება მოითხოვს ჩვენგან მის გაღებას.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეროვნულ პოლიტიკას წარმოება კონტრ-რევოლიუციონური ფანტაზიებით ნაშენი ქიმერები კი არ არის, არამედ ერის გადარჩენის დროს დაუღალავი შრომის გაწევა, ერის გადარჩენისათვის პრაქტიკული საქმიანობის სფეროში შემოქმედება. ვინც გაურბის ამ საქმეს, იგი ჩაიწერება ისეთ ფურცლებზე, რომელიც მას უკვდავ ქმნის, რადგან უდიდესი ბოროტება „უკვდავ არის“.

ხერ. ამაღლობელი.

სიმშილის ფრონტზე

ისტორიაში იშვიათად მოიპოვება ისეთი ფურცელი თავისი შინაარსით, უფრო საზარელი და საშინელი იყოს სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის ვრცელ ტერიტორიაში ამ ჟამად დატრიალებულ უბედურებაზე. რევოლიუციონურ რუსეთს ეწვია სიმშილის იეგოვა, სტიქიური საშინელება. ძნელია იმის აღწერა, ზოგადადაც იმის გადმოცემა, რასაც აქვს დღეს ადგილი ვოლგის მხარეში.

რუსეთისათვის სიმშილობა არ არის უცნობი მოვლენა. ჯერ კიდევ 1853—55 წ.წ. სიმშილისაგან რუსეთში გაწყდა 615 ათასი კაცი და ბავშვი, ხოლო 1891—92 წ.წ. დაახლოებით 300 ათასი. არ იყო მაშინ რევოლიუცია, ღმერთი არ იყო ნაწყენი ძალა-უფლების მშრომელ მასის ხელში გადასვლით, მშრომელთა დიქტატურის განმტკიცებით, მაგრამ სიმშილი, როგორც სტიქიური მოვლენა, მაინც ხშირი სტუმარი იყო გლეხკაცის ქოხში.

სიმშილობა, ე. ი. მოუსავლელობა პერიოდული მოვლენაა რუსეთის ცხოვრებაში. იგი მეორდება განსაზღვრულ დროის განვლის შემდეგ, ყოველ 30—40 წელს დაახლოებით. ამას ხელს უწყობს ვოლგის მხარის ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობა. ცენტრალი აზიის უსაზღვრო სივრციდან გადმოქროლილი ცხელი ქარი აშრობს და ახმობს ნოყიერ ნიადაგს, ისე რომ ხვნა-თესვა, სა[illegible] მიტიულ სამუშაო იარაღებით, თანამედროვე ზედმიწევნით გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკურ საწარმოო საშუალებებითაც ხდება შეუძლებელი. მართალია, რუსეთი აგრარული კულტურის ქვეყანაა, მაგრამ მან არ იცის აგრარულ კაპიტალიზმის მწარე სუსხები. ვოლგის შემწეობით შეიძლებოდა ბუნებრივ მოვლენასთან ხელოვნურად შებრძოლება, საშინელ და გამანადგურებელ შედეგების ნაწილობრივად მაინც თავიდან აცილება. ამ შემთხვევაში სრული უილაჯობა, უღონობა გამოიჩინა რუსეთმა და ეს ძველი, მონარქიული რუსეთის ანტიკულტურული მუშაობის წყალობით...

სიმშილის ულმობელი ცელი დატრიალდა სწორედ იმ ადგილებში, რომელსაც აქვს გადამჭრელი მნიშვნელობა მთელი რუსეთის ეკონომიური ცხოვრების განვითარებისათვის. რუსეთი უმთავრესად სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას ეყრდნობა უმთავრესად რუსეთის ეკონომიკა. მოუსავლობა მძლავრი ლახვარია ქვეყნის ეკონომიურ აღორძინების წინააღმდეგ მიმართული. მართალია, უბედურ შემთხვევებისგან თავის დაღწევის სიპტომებს იძლევა ის გარემოება, რომ უკანასკნელ ხანებში რუსეთში აღორძინდა წარმოება-მრეწველობა, შრომის ნაყოფიერობა შესამჩნევად გაიზარდა ინდუსტრიაში. მაგრამ მოსავლიან ოაზისების იზოლიაცია ეკონომიურ ცხოვრებაში მაინც ჰქმნის ჩვენს წინაშე მოსალოდნელ საფრთხეს და დიდათ ანელებს ჩვენს ოპტიმისტურ იმედებს ეკონომიურ დარგების ახლო მომავალში მოწესრიგების და ნორმალი პირობების დამყარების საქმეში.

მოუსავლობას როდი აქვს მხოლოდ ეკონომიური მნიშვნელობა საბჭოთა რუსეთისათვის. მისი შედეგი—სიმშილობა უფრო საშინელი მოვლენაა, ვინემ ეკონომიური ევოლიუციის ჩვეულებრივი ლიანდაგიდან მოცილება. იღუპება ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა ათასობით, მილიონობით . . . ნადგურდება მთელი მხარე ფიზიკურად, რამოდენიმე მილიონი შრომის შვილი მსხვერპლად ეწირება სიმშილის სტიქიას. ეს ხდება მიმდინარე კრიტიკულ მომენტში, როდესაც საბჭოთა რუსეთი გარშემორტყმულია იმპერიალისტური რკალით, რეაქციის ხიშტებით.

სიმშილობა მოედო რუსეთის 17 გუბერნიას. ასეთი რამ არ ახსოვს რუსეთის ისტორიას. დამშეულია დაახლოვებით 24 მილიონი სული. ეს არ არის რადიო-ჭორის გამომცხვარი ცნობა. არა. ეს რეალი ფაქტია, სინამდვილე, უცილო ჭეშმარიტება.

პირდაპირ დაუჯერებელია ჩვენთვის, მოვლენის შორიდან მჭვრეტელთათვის იმ ფაქტების ჭეშმარიტება, რომელიც დღე მუდამ მოგვდის დამშეულთა მხარიდან. სოფლად არ მოიპოვება არამც თუ შინაური პირუტყვები, მუშა საქონელი, არამედ არც ძაღლი და არც კატა, რომლებზედაც დამშეულები ისე ნადირობენ, როგორც კურდღელსა და ირემზე. ხეები დატყავებულია. კიდევ მეტი: გამეფდა ცივილიზაციის ხანაში არ ყოფილ და არ მომხდარი საზიზღრობა—კაციჭამიობა. ასეთი მასსიური შემთხვევა ფართოდ [illegible]

საბჭოთა მთავრობამ მიმართა მთელი თავისი ყურადღება დამშეულებს და მიიღო ყოველივე ზომა, არსებულ პირობებში შესაძლებელი.

საერთოდ დამშეულთა დასახმარებლად წინდაწინ გათვალისწინებულ გეგმის მხოლოდ მცირე ნაწილი—25—26$^0/_0$ არის შესრულებული. ჯერ კიდევ დიდი შრომა, ენერგიული მუშაობაა საჭირო სტიქიურ უბედურების ასაცილებლად.

მშრომელი ხალხის დაუძინებელ მტრების ხელში სიმშილობა იაფ სასპეკულიაციო საგნად გადაიქცა. სიმშილობა რევოლიუციის ბრალია, რევოლიუციამ დაგვღუპა, გაგვანადგურა, გაიძახიან ერთნი.

— სად კომუნიზმი და სად კაციჭამიობა! გაჰკივის დემაგოგ რეაქციონერთა მეორე წყება. ერთის სიტყვით, სიმშილობის განვითარებამ აამოძრავა ღამის ჭოტები, გაუღვივა მათ ქვენა გრძნობები. ისინი მუდამ დღე დამშეულებში რეაქციონურ მოძრაობის აფეთქებას მოელიან. ანტანტის იმპერიალისტებსაც გაეღვიძათ მადა. ან დღეს, ან არასოდეს! ან დღეს დავამხობთ საბჭოთა რუსეთს, აღმოვფხვრით ძირიანად რევოლიუციურ „სენს“, ბოლშევიკურ ეპიდემიას, ან სამუდამოდ დარჩება ჩვენი ოცნება გაუნაღდებელი!—ასეთია ალტერნატივა, პუანკარეს და მის ძმების პოლიტიკაში წითელი ზოლივით აღბეჭდილი. გენუას კონფერენციის მოწვევის გაჭიანურება, მისი გადადება „გამოურკვეველ დრომდე“ ნათლად და აშკარად ჰხედავს ანტანტის კაპიტალიზმის განწირულს სულისკვეთებას. Contraria cnotrarus ;cugantur! დაუპირისპიროთ მთლიან რეაქციურ ფრონტს გაერთიანებული რევოლიუციონური ფრონტი. ენერგიული მუშაობა სიმშილის ასპარეზზე, ყველაფერი სიმშილის ფრონტისათვის, ეს იხსნის რევოლიუციას და თავისუფლებას ყოველგვარ მოსა-

ლოდინელ შესაძლებლობისაგან, ეს არის თავდები მშრომელთა კლასის— სოფლის და ქალაქის მუშის საბოლოოდ გამარჯვების...

გ. მუშიშვილი.

გენუას კონფერენციის გარშემო

რუსეთის დელეგაციის გამგზავრება.

მოსკოვი, 31 მარტ. მარტის 28-ს ღამით მოსკოვიდან გენუაში გაემგზავრნენ რუსეთის დელეგაციის წევრები; დელეგაციის სათავეში სდგას თავმჯდომარის მოადგილე, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ჩიჩერინი. წევრები: ამხ. ნარიმანოვი, მდივანი, ბეკზადიანი და სოფრომოვი. მოსკოვში დროებით დარჩნენ. დელეგაციის წევრები—ამხ. კრასინი, შლიაპნიკოვი და რუდზუტაკი. დელეგაციის წევრი ამხ. რაკოვსკი უკვე წინად გაემგზავრა საზღვარგარეთ.

რატენაუ გერმანიის შესახებ.

ნაუენი. 30 მარტ. გერმანიის მინისტრმა რატენაუმ რეიხსტაგში სიტყვა წარმოსთქვა საკონტრიბუციო პრობლემაზე, შეეხო გენუას კონფერენციას და სთქვა: სამწუხაროა, რომ ამერიკა არ იღებს მონაწილეობას გენუაში. სჩანს, რომ ის აზრები და განზრახვები, რომლებიც აღფრთოვანებდნენ გერმანიას, როცა იგი ემზადებოდა გენუას კონფერენციისთვის, დარჩებიან ჰაერში დაკიდებულნი. ევროპაში შეიქნა ისეთი პოლიტიკური ატმოსფერა, რომ თუ იგი გენუაში არ დამშვიდდება, საჭირო გახდება საკითხის აღძვრა ახალ კონფერენციის მოწვევის შესახებ. გერმანიის მთავრობა გერმაგებად. თუ მსოფლიოს სურს [illegible] თავი დააღწიოს ქაოსს, აუცილებლად საჭიროა აღმოაჩინოს უფრო მიზანშეწონილი გზა, ვიდრე უთვალავ საკონტრიბუციო ნოტების სროლა. დაქანცულ ქვეყანას არ შეუძლიან თავი იხსნას მხოლოდ ერთი ხალხის შრომითა და მეცადინეობით, გინდაც რომ იგი აღფრთოვანებული იყოს საუკეთესო განზრახვებით. ყველა ხალხებმა უნდა აღიარონ, რომ მათ საერთო თანამშრომლობაზეა დამოკიდებული ევროპის აღორძინება. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ გენუას კონფერენციის პროგრამაში სრულიად არაა ნახსენები საერთაშორისო თანამშრომლობის საჭიროება. ეს თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ხალხები მთელ თავიანთ ძალებს მოახმარენ და გულწრფელად შეეცდებიან მსოფლიოს აღდგენას.

რუსეთის დელეგაცია უკვე გავიდა.

რომი. 30 მარტ. რუსეთის დელეგაცია, არჩეული გენუას კონფერენციაზე გასაგზავნად, უკვე გავიდა მოსკოვიდან და მივიდა ბერლინში. 3 აპრილს დელეგაცია წავა გენუაში.

სხვა და სხვა სახელმწიფოთა დელეგაციები.

პარიზი. 30 მარტ. (რადიო). კანადის დელეგაციის მეთაურად გენუას კონფერენციაზე დანიშნეს სერ გორდონი.

პარიზი. 30 მარტ. ავსტრალიის დელეგაციის სათავეში გენუას კონფერენციაზე დაინიშნება ჟოზეფ კუკი, სამხრეთ აფრიკის დელეგაციის მეთაურად—სერ უოლტონი.

ბორდო. 30 მარტ. იაპონიის დელეგაციის შემადგენლობაში გენუას კონფერენციაზე შევიდნენ ბარონ გაიაში, იაპონიის ელჩი ლონდონში, ბარონ იში, ელჩი პარიზში, და სხვანი.

ბალტიის სახელმწიფოები გენუაში.

[illegible] 30 მარტ. (რადიო) [illegible] რენციამ მიიღო პროგრამა გენუას კონფერენციისთვის, შედგენილი 9 მუხლისგან. ამ პროგრამაში აღნიშნულია, რომ პოლონეთი, ესტონია, ლატვია და ფინეთი გამოსცემენ ხელშეკრულობებს, დადებულს მათსა და რუსეთს შორის, და ვალდებულნი არიან დაიცვან ისინი, იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი ამ სახელმწიფოთაგანი შეიქნება დაცემის მსხვერპლი, სხვა სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან კეთილმეგობრული ნეიტრალიტეტი და ეცადნენ მიიღონ ყველა მათზე დამოკიდებული ზომები ამ სახელმწიფოს დასახმარებლად. პროგრამაში ხაზგასმულია აგრეთვე, რომ ხსენებული სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ყველა თავიანთი დავები გაათავონ არბიტრაჟის საშუალებით. ეს პროგრამა ხსენებულ სახელმწიფოთა სახელით გამოქვეყნებულ იქნება გენუას კონფერენციაზე.

ბერლინი. 30 მარტ. ესტონიის დელეგაციის მეთაურად გენუაში დანიშნეს ვერტელი.

ერთა ლიგა

რომი. 30 მარტ. ერთა ლიგის საბჭომ ოფიციალურად მიიღო მიწვევა გენუას კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ.

ბერლინი. 30 მარტ. გერმანიის დელეგაციის მეთაურად გენუაში დანიშნეს რატენაუ. დელეგაცია შესდგება 8 კაცისაგან.

საფრანგეთის დელეგაცია.

პარიზი, 29 მარტი. საფრანგეთის მთავრობამ გენუაში თავის დელეგაციის მეთაურად დანიშნა ბარტუ და მის მოადგილედ კიდევ კოლრატი. დელეგაციის შემადგენლობაში შეყვანილია სამი ტეხნიკოს-ექსპერტი. გაზეთების აზრით, პუანკარე გენუის კონფერენციაზე გაემგზავრება მილიერანის პარიზში დაბრუნების შემდეგ,

ინგლისი თანახმა იქნება სეპარატიულ ზავზე.

ვარშავა, 29 მარტი. „რეჩ_პოსდან მიღებულ ცნობით, ლლოიდ ჯორჯმა კატეგორიულად განაცხადა იგი შეჰკრავს რუსეთთან სეპარატიულ ხელშეკრულობას იმ შემთხვევაში თუ მოკავშირეთა წრეები გენუაში, ვერ მიახწევენ რუსეთის საკითხის გარშემო თავიანთ პოლიტიკის შეთანხმებას.

რუმინეთის პოზიცია.

ოდესსა, 29 მარტი, „ადევერული“ სწერს, რომ რუმინეთი არავითარ ვალდებულობას არ მიიღებს გენუაში მანამ საფრანგეთ-ინგლისს შორის არ მოხდება სრული შეთანხმება: რუმინეთისთვის საჭიროა, რომ მოკავშირეებმა ყველა ხელშეკრულობების რატიფიკაცია მოახდინონ, რომელიც კი დადებულია რუმინეთთან. რუმინეთი კატეგორიულ პროტესტს განაცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ დახმარება გაეწიოს იმ სახელმწიფოებს, ვინც მასთან მტრულად არის განწყობილი. რუსეთის მიმართ რუმინეთი მეგობრულად არის. იგი ცდილობს რუსეთთან განაახლოს ურთიერთობა, მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რუსეთი რუმინეთის წინაშე მოიხდის ყველა ვალდებულებებს.

გენუა და კონტრიბუცია.

ნაუენი, 29 მარტი. „ჩიკაგო ტრიბუნ“-ას მოჰყავს ლონდონელ გავლენიან ფინანსისტის აზრი იმის შესახებ, რომ გერმანიამ თუ კონტრიბუციის კომისიის მოთხოვნილებანი შეასრულა, იგი ნამდვილად გაკოტრდება, რის შედეგი იქნება ის, რომ არც ერთი გერმანიის კრედიტორი ვერაფერს მიიღებს. თუმცა კონტრიბუციის საკითხი მოხსნილია გენუის კონფერენციის პროგრამიდან, მაგრამ ყოველ დღე ირკვევა ამ საკითხის დასმის აუცილებლობა რომელიმე საერთაშორისო კონფერენციაზე.

უცხოეთი

რუსის მონარქისტები.

ნაუენი. მარტის 29-ს ბერლინში იხსნება რუსი მონარქისტების ყრილობა. მონარქისტებს [illegible] ამავე დროს განხილული იქნება საკითხი შესახებ „რუსეთის სენატის“ მოწყობისა საზღვარ-გარეთ.

ნაუენი. მარტის 29-ს რუს მონარქისტების ყრილობაზე ბერლინში მონაწილეობას მიიღებს გერმანიის მონარქისტების ლიდერი რევენტლოვი.

მოკავშირეებზე გავლენა.

პარიზი. მარტის 29-ს „ეხო დე-პარი“ იუწყება, რომ [illegible] უკანასკნელი ნოტა მოკავშირეებისადმი შესახებ ამერიკის [illegible] ხარჯების ანაზღაურებისა კვლავ განსაზღვრული ფორმით გავლენას ახდენს საფრანგეთზე მის განიარაღების საქმეში.

ან შერიგება, ანუ საკონტრიბუციო ნოტა.

ნაუენი. მარტის 29-ს ვირტი გამოვიდა არა რეიხსტაგში თავისი სიტყვით შესახებ საკონტრიბუციო კომისიის მოთხოვნილებისა აცხადებს, რომ ეს მოთხოვნილებანი ერთობ მძიმეა. სრულიად სამართლიანი ის აღშფოთება და გულისწყრომა, რომელიც გამოსთქვა გერმანიამ საკონტრიბუციო კომისიის ნოტის მიმართ. რეიხსტაგის წევრმა ლებუტმა სთქვა, რომ მთელი რეიხსტაგი იზიარებს კანცლერის შეხედულებას. მეორე გამოსვლისას ვირტმა აღნიშნა საჭიროებანი [illegible] სისტემის გატარებისა თანხმად ქვეყნის შეძლებულობისა, რაიც საჭიროა არა მარტო ეროვნული, აგრეთვე მოქალაქეთა საკეთილდღეოდ, და ეროვნული ძალთა შესანარჩუნებლად რომლის უმისოთ შეუძლებელია გერმანიის აღორძინება. ვირტი იმედს გამოსთქვამს რომ მოკავშირენი იცნობენ თავიანთ მოთხოვნილების შეუსრულებლობას. ამასთანავე ვირტმა კატეგორიული პროტესტი განაცხადა გერმანიის ხალხის სუვერენულ უფლებაში შეჭრის წინააღმდეგ და გერმანიის დამოუკიდებლობის შეზღუდვაში. არც საზავო ხელშეკრულება, არც ლონდონის ულტიმატუმი არც აძლევს საკონტრიბუციო კომისიას უფლებას ასეთს ნოტაზე. გერმანიის მთავრობა დაწვრილებით განიხილავს ნოტას ვიდრე მასზე პასუხს მისცემდეს. ზავმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა აირჩიოს ან მშვიდობიანობა შეთანხმებული გენუას კონფერენციის მიერ ანუ უკანასკნელი საკონტრიბუციო ნოტის დიდა აზრი.

კონტრიბუცია ინგლისის და საფრანგეთის თვალში

ბერლინი, 29 მარტი. ინგლისში ის აზრი სჭარბობს, რომ გერმანიის მთავრობას საშუალება ექნება ჩვეულებრივი ზომების მიღებით შესძლოს გაძლიე[illegible] უნდა მიმართოს ერთსა და იმავე დროს საშინაო და საგარეო სესხს, რომ მოიპოვოს საშუალება კონტრიბუციის გადასახდელად.

საზღვარ გარეთ სესხის აღება გერმანიისათვის სრულიად შესაძლებელია, მაგრამ ის გამოიწვევს ჩარევას გერმანიის ფინანსიურ მართველობაში.

სატირიკონი

(გაზეთი გაზეთში)

ყოველ კვირეული იუმორისტული გამოცემა.

№ 2. 2. №

ხელის მოწერა.

„სატირიკონზედ“ არ მიიღება, ვინაიდან რედაქციის მეცადინეობით ტეხნიკა იმდენად განვითარებულია, რომ ჩვენი გამოცემა თავის თავად მიუვა „ტრიბუნის“ ხელისმომწერლებს.

თანამშრომელთა საყურადღებოდ.

ყოველი მასალა უნდა გამოიგზავნოს „ტრიბუნის“ მისამართით და წარწერით: „სატირიკონისათვის“.

რუსეთის კომპარტიის XI ყრილობა.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მარტის 27-ს კრემლში გაიხსნა რუსეთის კომპარტიის მეთერთმეტე ყრილობა. სერგო ორჯონიკიძემ შეიტანა წინადადება, რომ კამათი ყოფილიყო ქართულ ენაზე. ამისათვის ის შოვინისტად გამოაცხადეს და პარტიიდან გამორიცხეს.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. ლენინი ცეკას პოლიტიკურ ანგარიშზე. მან სიტყვის დასაწყისშივე აღნიშნა, რომ კომუნისტური ტყუილების, კომტყუილების დრო უკვე წავიდა და აზრი სიმართლე უნდა ვილაპარაკოთ. აი თუ გინდ ის, რომ ჩვენი უცოდინარობით, უთავბოლობით და შეცდომებით ხელს ვუშლიდით, ვაბრკოლებდით რევოლიუციას და შემდეგ აღმშენებლობას, მაგრამ მაინც უნდა ვილაპარაკოთ, რომ რევოლუცია ჩვენ გადავარჩინეთ და ჩვენზეა დამოკიდებული მსოფლიოს ბედიო.

რაც შეეხება ჯინევისის კონფერენციას, ჩვენ იქ მივდივართ საქებროდ და არა კომუნიზმის საქადაგებლად. ოთხი წლის გამოცდილებამ ჩვენ გვასწავლა, —ვისთან გამოგვადგება კომუნისტობა და ვისთან არა. (რეპლიკა ადგილიდან) —რას იტყვიან ქართველი მენშევიკები?

— ისინი, ამხანაგებო, როცა გაიგებენ, რომ ჩვენც შეგვძლებია მენშევიკობა, ან გულზე გასკდებიან, ან გაბოლშევიკდებიან. ასეა მუდამ უპრინციპო ხალხის საქმე, რომელიც მარქსიზმს არ ემყარება. ბოლშევიკობის დროს ისინი მენშევიკობდნენ და მუშათა კლასს ღალატობდნენ. მენშევიკობის დროს კი კი უეჭველად გაბოლშევიკდებიან და ერთხელ კიდევ დაამტკიცებენ, რომ ისინი საბოლოოდ ასცდნენ მუშათა კლასის ინტერესებს.

თუმცა ყოველივე იმის გასამართლებლად, რასაც ჩვენ ვაკეთებთ და ვლაპარაკობთ, ერთი სიტყვაც არ მოიძებნება მარქსის და ენგელსის ნაწერებში, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ მათ ვერ მოასწრეს ყველაფრის გათვალისწინება და დაწერა.

რაც შეეხება ჩვენს უკან დახევას, ის შეჩერებულია. მეტს უკან აღარ დავიხევთ, სანამ ამას საჭიროება არ მოითხოვს და პარტიის ინტერესი არ გვაიძულებს.

რა არის ჩვენი უკან დახევა: ევოლუცია, თუ ტაქტიკა? კომსიცრუე რომ უკუვაგდოთ და მივიღოთ ჩვენი კლასობრივი მოწინააღმდეგის სიმართლე,— ესაა ბოლშევიზმის ევოლუცია ბურჟუაზიისაკენ...

(დასასრული არაა მიღებული).

ივლიტე.

მკვეხარა

აქეთ რომ ურალს წიხლსა ვკრავ,
იქეთ ევროპას ძვრას ვუზამ.
მსოფლიოს კაპიტალისტებს
დავაგროვებ და ყლაპს ვუზამ.

კარანა.

ავტოპორტრეტი

როცა მაგრად დავთვრები,
ამერევა დავთრები,—
ფუტურისტი გავხდები,
ავხტნები და დავხტნები.

კირილე.

უბრალო ახსნა

— რითი აიხსნება მოქმედება ჩვენი ბრძენი პოლიტიკოსების, რომ მუდამ ჭორებსა სთხზავენ და მეტი ვერაფერი მოუხერხებიათ?

— ცხადია: კოკასა შიგან, რაცა სდგას იგივე წარმოსდინდების!

— საწყალი ჩვენი ქვეყანა! რა ხალხის ხელში ყოფილა?

ფარხადან.

ქრონიკა.

— სამი ინტერნაციონალის კონფერენციაზედ საქ. მემარცხ. სოციალ-ფედერალისტთა ახალგაზრდობის წარმომადგენელი წაიკითხავს მოხსენებას: გედი, კიბო და თევზი.

— სულ მოკლე დროში რუსეთიდან ტფილისში ჩამოვა მოძრავი საოპერო დასი, რომელიც შესდგება 1500 კაცისაგან. ტფილისს გარდა წარმოდგენებს გამართავენ: ბორჯომში, ზესტაფონში, ონში, ცაგერში, ჩოხატაურში და სხვაგან. წმინდა შემოსავალი მოხმარდება რუსეთის დამშეულებს. ვუსურვებთ წარმატების ამ კეთილ საქმეს. რუსეთში თუ ვერაფერს გაგზავნიან, თვითონ ხომ გამოიკვებებიან ესეც კაი საქმეა.

— ქ. ტფილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილების საბინაო ქვეგანყოფილება გადაკეთდა სახლების მეპატრონეთა კავშირის ქვეგანყოფილებად.

— „ტრიბუნის“ რედაქციაში შემოიტანეს ორი ცარიელი პაკეტი, რომელიც ტფილისში უპოვნიათ. ორივეზედ აწერია ერთნაირი ინიციალები: ს.-რ. რედაქციამ ამხ. კ. მიქელაძეს მიანდო, გამოარკვიოს: რომელი მათგანია ნამდვილი და ამის შემდეგ მპოვნელს მიეცემა ჯილდო თანახმად „სატირიკონის“ 1 №-ში მოთავსებული განცხადებისა.

⁂

ყველაფერს დასასრული აქვს,—
ბოლო არ უჩანს ჭორებსა.
მენშევიკ-ფედერალისტებს
ვერავინ გააშორებსა.
თურმე ზოგიერთ კუზიანს
საფლავიც ვერ ასწორებსა.

ლია.

რადიო,

აპარისტანი. აპარლები ძალიან გაიტაცა ბოლო დროს ოთურმას თამაშობამ ფუხარა! ხალხი დიდი მადლობელია კომუნისტებისა ასეთი გონიერი გასართობის მოწყობისათვის.

ანგორა. ქემალ-ფაშა იცინის, იცინის, კვდება სიცილითა.

ჯინვახი. ფაშისტები ბოლშევიკების გასართობად ამზადებენ „კატების კონცერტს“. ლოტბარად მოწვეულია სავინკოვი.

პარიზი, ტფილისიდან მიღებული ცნობით იქ მომხდარა გადატრიალება, მაგრამ ახალი მთავრობა ამას ჯერ არ ამჟღავნებს, ვინაიდან ბოლშევიკების წასვლის ვადა აპრილში თავდება. როგორც ხმები დადის ვადის ხელ ახლა გაგრძელება არ მოხდება.

— **ტფილისი.** შეიკრა სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს ფედერაცია. სამივე რესპუბლიკის დამოუკიდებლობა... (დამახინჯებულია)

თეატრი და ხელოვნება

— ახლო მომავალში რუსთაველის თეატრში გამეორებული იქნება „ვიდრე ხვალ უფალო?“ პიესაში ჩამატებულია ახალი ნიუანსები. ამიტომ საზოგადოებას სთხოვენ თან იქონიონ ბალიშები.

— რუსთაველის თეატრის კომისარმა განკარგულება გასცა, რომ ყოველ დღე, როცა ამ თეატრში ქართული წარმოდგენები მიდის, მთელ ტფილისში საათის ისარი უკან გადასწიონ ოთხი საათით.

— განათლების კომისარიატში გამართულია „ცოცხალი გამოფენა“. ყოველ დღე, დილის 9-დან 3-მდე შეიძლება ნახოთ ყველა ჩვენი მოღვაწე: პროფესორი, მხატვარი, მსახიობი, მუსიკოსი და სხვ. დალაპარაკება აკრძალული არაა. გამოფენის მიზანია გამოარკვიოს: ვინაა კმაყოფილი მდგომარეობით და პაიოკით არა.

— აპრილის შუა-რიცხვებში, სწორედ ზ. ჭიჭინაძის იუბილეს დროს, პარალელურად გაიმართება კონსერვატორიის დარბაზში დიდი ლიტერატურული გასამართლება ზოგიერთ პოეტებისა. ბრალმდებელის როლში გამოვა მარუჯა შუამდინარელს. დამცველები გამოწერილია ქიმერიონიდან. გარდა ამისა კონსტანტინე გამსახურდია წაიკითხავს მოხსენებას თავის ჯერ დაუმთავრებელ ლექციებიდან: სვიმბოლიზმი და მაიმუნები. შემდეგ გაიმართება საკონცერტო განყოფილება. ყველა პოეტები იმღერებენ სოლოს, მაგ. ტიციან ტაბიძე:

ვინც რა უნდა ისა სთქვას,
გასავალი ყველგან გვაქვს.

ს. აბაშელი: ხან აქა ვარ, ხან იქა... და სხვა.

წმინდა შემოსავალი მოხმარდება „სატირიკონს“.

საწინააღმდეგო წინადადებისათვის გერმანიას მიცემული აქვს ორი თვის ვადა. ჰავასის სააგენტოს ცნობით საკონტრიბუციო კომისიამ გერმანიას წარუდგინა ფინანსიურ გადასახადის მოთხოვნილებანი, რომელიც გამომდინარეობდა მხოლოდ საფრანგეთის ბიუჯეტისათვის საჭირო მინიმუმიდან.

ან უარი ან შეუსრულებლობა

ბერლინი, 29 მარტი. ბენვილი დაწვრილებით იხილავს წინააღმდეგობის საკონტრიბუციო კომისიის წევრთა შორის. ბენვილის აზრით გერმანიის წინაშე ორი გზაა: ან უარის ჰყოფა მოკავშირეთა მოთხოვნილების შესრულებისა, ანუ მიღება ამ მოთხოვნილებისა და ტეხნიკურ შეუძლებლობისა გამო მისი შეუსრულებლობა. გერმანიას არ ძალუძს ახალი საზეგრო კანონების გამოცემა, რომელიც გამოიწვევს არა მარტო გულისწყრომას ხალხისას, აგრეთვე მიიყვანს თვით გერმანიას გაკოტრებამდე. ბენვილი მოითხოვს საერთო გადასინჯვას კონტრიბუციის საკითხებისას.

საფრანგეთის ბიუჯეტი

ბორდო, 29 მარტი. საფრანგეთის სენატი შეუდგა ბიუჯეტის განხილვას. თათბირი სწარმოებს იმ ხარჯზე, რომელიც უნდა გადაიხადოს გერმანიამ. მომხსენებელმა ბერანჟემ განაცხადა, რომ საფრანგეთს უფლება არა აქვს კონსტიტუციის ანგარიში ავანსების მიცემისა, ვინაიდან მას არ მიუღია ის, რაც ნაანგარიშევია გერმანიაზე.

საჰაერო რეისი

პარიზი, 29 მარტი. 1-ლ აპრილიდან იხსნება საჰაერო სატვირთო და სამგზავრო რეისი ლონდონის, პარიზ-სტრასბურგის, პრაგისა ვენის-ბუდაპეშტის და სტამბოლის ხაზებზე. ეს საჰაერო გზა შეზრებით უნდა შესრულდეს 40 საათის განმავლობაში.

ბერძენ-ოსმალთა ომი

ანგორა, 25 მარტი. ესკიშახერის მიმართულებით თოფის სროლაა. აფიონ-ყარაჰისარის მიმართულებით მზვერავთა შეტაკება მოხდა.

ანკორა. მარტის 26-ს აფიონ-ყარაჰისარის მიმართულებით ოსმალთა მზვერავი რაზმი მიუახლოვდა მტრის მოწინავე პოსტს და მიაყენეს მას დიდი ზარალი, დაიპყრო საქონელი.

ქალაქთან ოსმალთა დამკვრელმა რაზმა გააფუჭა რკინის გზისა და ტელეგრაფის შეერთება. ჩივრილის რაიონში მტერმა გადასწვა ერთი სოფელი.

ანგორის პასუხი.

პარიზი. მარტის 29-ს კონსტანტინეპოლიდან მიღებულ ცნობით ან ორის

— ვინაიდან ქართულ დრამას წინსვლა არ ეტყობა და აქ მომუშავე რუსული დასების გავლენაა ამისთვის საკმაო არ გამოდგა, ამიტომ სახ. განათლ. კომისარიატს გადაუწყვეტია: გამოიწვიოს რუსეთიდან მობილიზაციის წესით იმდენი აქტიორები, რომ თითო ქართველ მსახიობზე მოდიოდეს 175 რუსი აქტიორი და თითო ქართულ წარმოდგენაზე 90 რუსული წარმოდგენა.

დარწმუნებული ვართ ეს ზომა მიზანს მიაღწევს და ქართული თეატრი აღორძინდება.

ამოცანა

არც თქვენი ნებართვა უნდათ,
არც ოთახი და დარაბა.
თავისუფლების მოედანს
ევლინებიან ჯარადა.

ბეკო.

უკანასკნელი ცნობა

როგორც დანამდვილებით გვიგეთ თებერვლის ბავშვთა შეთქმულება საქართველოში, რომელმაც საბჭოთა მთავრობა კინაღამ იმსხვერპლა, დამარცხებულა იმის გამო, რომ ბელადები ვერ შეთანხმებულან ახალი მთავრობის შედგენაში. ერთი ლიდერთაგანი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ქეთინო ტიტინაშვილი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ნორჩი საქართველოს ახალი მთავრობის თავმჯდომარედ და დიქტატორად დაენიშნათ მისი დედოფალა. ეს იმითაც მტკიცდება, სხვათა შორის, რომ ქეთინოს დედოფალა, რომელიც სხვა შეთქმულებთან ერთად ჩეკას ჩაუვარდა ხელში, დაჟინებით სდუმს და დაკითხვაზე არავითარ პასუხს არ იძლევა.

რედაქტორი: ავენა წკიპურტაძე

მთავრობამ ოფიციალურად აუწყა ზავის წინადადების მიღება, რომლის პასუხი იქნება მოცემული მახლობელ დღეებში.

ამხ. ტროცკი რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის შესახებ

მოსკოვი. 21 მარტი, ამხ. ტროცკი გაზეთ „ხერშტადტის“ კორესპონდენტის შეკითხვაზე უპასუხებს: „თქვენ შეკითხვებით, რა შთაბეჭდილებას მოახდენს რუსეთის საზოგადოებრივ აზრზე ფაქტი ამერიკის უარის თქმისა გენუას კონფერენციაში მონაწილეობაზე? მე შემიძლია ვთქვა, რომ უარი და წამოყენებული მოტივები კიდევ უფრო გააძლიერებენ იმ ორჭოფ შთაბეჭდილებას, რომელსაც ახდენს ამერიკის პოლიტიკა საბჭოთა რუსეთის მიმართ. ბ. იუზი ამბობს, რომ რუსეთის მეურნეობის აღდგენა განუხორციელებელია მანამდე, სანამ არ მიიღებენ საჭირო ზომებს ისინი, ვინც უმთავრესად პასუხისმგებელნი არიან რუსეთის ეხლანდელ ეკონომიურ დანგრევაში“. ეს ფრაზა ორაზროვანია: ჩვენში თვითეულმა მუშამ და თვითეულმა გლეხმა მწარე გამოცდილებიდან იცის, რომ პასუხისმგებელი ეკონომიურ დაშლაში არის თეთრგვარდიელების არმია და მათი სულის ჩამდგმელნი ანტანტის მთავრობები. იქნებოდა არა ბუნებრივი სასწაული, რომ 3 წლის იმპერიალისტური ომის შემდეგ სამოქალაქო ომის წლებში, არ დანგრეულიყო რუსეთის ისედაც სუსტი მეურნეობის ორგანიზმი. ვოლგის მხარის ყოველმა გლეხმა და გლეხის ქალმა იცის, რომ ჩეხო-სლოვაკები და კოლჩაკი მოქმედებდენ საფრანგეთის და შეერთებულ შტატების ხელმძღვანელობით და მათი ხარჯით. გვალამ, სტიქიურმა უბედურებამ, სწორედ იმიტომ გამოიწვია ასეთი საშინელი მდგომარეობა ვოლგის მხარეში. რომ ეს ადგილი ადრევე დაასუსტა და დაალარიბა ამერიკის მაშინდელმა მთავრობამ კოლჩაკის საშუალებით ამერიკა რუსეთის ადმინისტრაციის დიდსულოვან მოქმედებაში, საბჭოთა რესპუბლიკის საზოგადოებრივი აზრი ხედავდა შეერთებული შტატების პოლიტიკის გარდატეხას, და მათ მისწრაფებას დამშეულ მახებისთვის და მშრომელთათვის ანაზღაურებისადმი თუნდაც ნაწილის იმ ზიანის და განადგურებისა, რომელიც მიაყენა ვილსონის მთავრობის პოლიტიკამ მათ ჩეხო-სლოვაკების და კოლჩაკის შემწეობით. საბჭოთა რუსეთის საზოგადოებრივი აზრი თანახმაა იცნოს ბ. იუზის სიტყვები იმ აზრით, რომ ანტანტის მთავრობები, რომლებმაც გამოიყენეს პირველად მეფის რუსეთის ყველა ძალები და საშუალებანი თავის სამხედრო პოლიტიკურ მიზნებისათვის, და შემდეგ ანადგურებდენ რევოლიუციონურ რუსეთს და ხელოვნურად ასაზრდოებდენ სამოქალაქო ომს, — რომ ყველა იმათ, როგორც პასუხისმგებლებმა რუსეთის ეხლანდელ ეკონომიურ განადგურებაში, უნდა მიიღონ აუცილებელი საჭირო ზომები მისი აღდგენისათვის. ასეთი მსჯელობა ჩვენ მიგვაჩნია სწორ მსჯელობად. ამ ზომებში პირველი ძირითადი ზომა არის შეწყვეტა შეიარაღებული ჩარევისა რუსეთის შინაურ საქმეებში, უარი კონტრ-რევოლიუციონერი ბანდების მხარის დაჭერაზე რუს მუშების და გლეხების წინააღმდეგ, რომელთაც ყველაზე უფრო სწყურიათ მშვიდობიანობა, წესრიგი და შრომა.

საკონტრიბუციო კომისიის მოთხოვნილებანი.

ნაუენი. 29 მარტი. საქმის მცოდნე ლონდონის წრეში ფიქრობენ, რომ საკონტრიბუციო კომისიის უკანასკნელი ნოტა სრულიადაც არ არის ულტიმატუმის ხასიათისა. ლონდონის გაზეთები აღიარებენ, რომ საფინანსო კონტროლის დაწესება სრულიადაც არ გამოიწვევს ფინანსიურ კატასტროფას, პირიქით: საკონტრიბუციო კომისიის ნოტა იძლევა ერთად განხილვის შესაძლებლობას და ამ შესაძლებლობით გერმანიამ უნდა ისარგებლოს. „ჩიკაგო ტრიბუნს“ მოჰყავს ლონდონის გავლენიან ფინანსისტის აზრი, რომელიც აღნიშნავს, რომ გერმანია, იმ შემთხვევაში თუ იგი შეასრულებს საკონტრიბუციო კომისიის უკანასკნელ მოთხოვნილებებს, მივა გაკოტრებამდი და ამის შემდეგად გერმანიის ვერც ერთი კრედიტორი ვეღარაფერს ვერ მიიღებს. თუმცა კონტრიბუციის საკითხი გამორიცხულია გენუას კონფერენციის პროგრამიდან, მაგრამ დღითი დღე ცხადი ხდება, რომ შეუძლებელია უახლოეს საერთაშორისო კონფერენციაზე გვერდი არ აუარონ გერმანიის მიერ გადახდის შესაძლებლობის საკითხის განხილვას.

რკინის პოემა

... და, სამყაროში შემოვიჭერ ვით ანათემა.
ავაფოლადე—სარევანშო—სიტყვა, ქურაზე;
ეთერის გულზე ანანათლი,—თვით ანათება,
იქნებ საზღაპრო დაშთეს ხილვად:—ითქვა თუ რაზე?!

*

დუელად ვიხმე უკუნეთი—ფერად შტოება.
ლეგა მანტიით ავბურე, ის, უვალ ველზე;
და ამძივებულ ქნარს ავკინძე, მღერად, შნოება,
ავქარგე კანვა, სამარადო, იდუმალ ყელზე...

*

ელვად აიჰრა, ალის ყურა, ჩემი პოემა.
უცხო ლეგენდა, სანიმუშოდ, ავაბი რუზე;
ახალ გრიგალში ისმა ზარის მცემი პოება,
ორბის მძლე ფრთებზე, პოეზია ავაფირუზე...

*

ცის კაბადონზე ვშალე რუქა, ჰიმნით, იება.
მზეს შევეცილე... სხვა მნათობით მოველ,—ვკიდე ზე;
ავაბოგემე ბრბო, საზარი, რკინით, ძიება,
და უკვდავება ვჰედე ქვეყნის ყოველ კიდეზე...

სეზმან ერთაწმინდელი

თავდასხმა მილიუკოვზე და ნაბოკოვის მკვლელობა.

ნაუენი. 30 მარტი. რუს კადეტების წარმომადგენლის მილიუკოვის მოხსენების შემდეგ, რომელიც წაკითხული იყო ბერლინის ფილარმონიის დარბაზში მისი ამერიკაში მოგზაურობის შთაბეჭდილების შესახებ, ნიკოლოზ მეორის ყოფილმა ადიუტანტმა შაბელსკიმ რამდენჯერმე ესროლა რევოლვერი მილიუკოვს და განაცხადა რომ იგი შურს იძიებს მეფის მოკვლის გამო. ბერლინში რუსულ გაზეთის გამომცემმა ნაბოკოვმა მილიუკოვს დასაცავად წინ დაუდგა შაბელსკის და ნაბოკოვი მოკლულ იქმნა. შაბელსკი გაიქცა და ამ ჟამად მიუნხენში იმყოფება.

გერმანიის სამხედრო დანაკარგი

ნაუენი. 30 მარტი. სტატისტიკურ ცნობების მიხედვით გერმანიამ უკანასკნელ ომის განმავლობაში დაჰკარგა 12 მილიონი ადამიანი.

ანტანტის დაშლა.

ბორდო, 30 მარტი. ევროპის და ამერიკის პრესსა იტყობინება, რომ ბრიანმა ვაშინგტონის კონფერენციაზე იუზს წინადადება მისცა შეკრას საფრანგეთ-ამერიკის საზღვაო კავშირი ინგლისის წინააღმდეგ. ამერიკა უარ-ყოფს ამ ხმებს.

ახალი ამბები

— **ნ. ბარათაშვილის წიგნი.** გამოვიდა ნ. ბარათაშვილის წიგნი: აკადემიური გამოცემა. ხელისმომწერლები, რომელნიც ბარათს წარმოადგენენ, ფას დამატებით მიიღებენ წ. კ. ს. წ. მაღაზიაში.

— **ო. შულგინა-ბახუტაშვილის იუბილე.** დღეს სახელმწიფო ოპერაში მომღერალ ქალის ო. შულგინა ბახუტაშვილის საოპერო სცენაზე ოცი წლის მოღვაწეობის გამო იმართება იუბილე, იუბილიარის დღის აღსანიშნავად იდგმება პუჩინის ოპერა „ბატტერფლეი“. ოპერის შემდეგ გაიმართება კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ტფილისის არტისტიული ძალები, მათ შორის ქართულ სცენის დამსახურებული მსახიობი ვასო აბაშიძეც.

— **სავაჭრო-სამრეწ. დაწესებულებათა აღმწერლების კრება.** კვირას, 2 აპრილს შუადღის 12 საათზე და ორშაბათს 2 აპრილს, საღამოს 6 საათზე ქალ. აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში (ყოფილი ქალ. საბჭოს დარბაზი) დანიშნულია საერთო კრება ყველა იმ პირთა, რომელნიც ჩარიცხულნი არიან ტფილისის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების (სადარაბო) აღმწერლებათ აღწერის ინსტრუქციებთან გასაცნობად.

— **ქართული ბალეტი.** ორშაბათს, აპრილის 3, საოპერო თეატრში გაიმართება პირველად საინტერესო ახალი ქართული ბალეტი, „გოგიას სიზმარი“ შედგენილი გ. ალ. მესხიშვილის, ზუბიაშვილის ინსტრუმენტებით.

— **ბათუმის ნავთსადგური.** ბათუმის ნავთსადგურში 27 მარტს მოვიდა გემები: იტალიის „ედრია“, კონსტანტინოპოლის — რუსეთის — „აიპეტრი“ ნოვოროსიისკიდან და თან ჩამოიტანა 600 ტონი სხვა და სხვა ტვირთი, 70,000 ფუთი ხორბალი; ანატოლიიდან 29 მარტს მოვიდა ინგლისის გემი „გაგენ პერკი“ და იტალიის „ელორ-ქია“ 1008 ტონის სხვა და სხვა ტვირთით, 46 მგზავრი ჩამოიყვანა და 10300 ფუთი ხორბალი. ნავთსადგურიდან გაემგზავრა: 27 მარტს იტალიის გემი „პერსია“ კონსტანტინოპოლში და თან წაიღო ნავთი. 29 მარტს გაემგზავრა გემი „ედრია“.

— **ფოთის ნავთსადგური.** 29 მარტს ფოთის ნავთსადგურში მოვიდა გემები: საფრანგეთის—90,000 ფუთი ხორბალი ჩამოიტანა. კონსტანტინოპოლიდან „კონტესსა ოდილია“.

— **საბავშვო სახელოსნო.** ტფილისის ქალ. სახლ. განათლების განყოფილებამ გახსნა შემდეგი საბავშვო სახლებთან სახელოსნოები: მეჩექმეობის მე-3 № საბავშვო სახლთან, კალათის მწნის მე-7 № საბავშვო სახლთან და სადურგლო მე-2 № საბავშვო სახლთან გარდა ბავშვების ხელოსნობის შესწავლისა ეს სახელოსნოები ემსახურებიან ქალაქის ყველა საბავშვო სახლებს.

— **ბიბლიოთეკის საქმე.** საბიბლიოთეკო განყოფილებამ მთ. პოლიტიკ. განათლებისამ ანკეტის გზით შეუდგა ბიბლიოთეკის საქმეების გამორკვევას მთელ რესპუბლიკაში.

— **საბიბლიოთეკო კურსები საქარ. წითელ არმიისა.** საქართველოს წითელ არმიის პოლიტ. განყოფ. აწყობს თვენახევრის კურსებს ბიბლიოთეკის მუშაკთა მოსამზადებლად წითელ არმიელთა ბიბლიოთეკებისათვის.

— **სააღდგომო არდადეგი.** ტფილისის სახალ. განათლების განყოფილება წინადადებას აძლევს დაითხოვონ ბავშვები მისდამი რწმუნებულ სასწავლებლებისა სააღდგომო არდადეგისათვის 10 დღით ე. ი. აღდგომის სამი დღის წინად და ერთი სააღდგომო კვირით.

— **ფუნიკულიორი.** ქალ. ტფილისის აღ. კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით 2 აპრილიდან ფუნიკულიორის მოძრაობა განახლდება. მისვლა-მოსვლის ტარიფად დადგენილია 20,000 მანეთი, მხოლოდ ასვლისათვის 15,000 მ., ჩამოსვლისათვის 10,000 მ.

— **ახალი საბავშვო ბაღი.** არსებული საბავშვო სახლების განტვირთვისათვის ტფილისის ქალ. სახალ. განათლების განყოფილებამ გახსნა ახალი საბავშვო სახლი მიხა ცხაკაიას სახელზე ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, 100 ორთავე სქესის სხვა და სხვა ეროვნების ბავშვებისათვის. ამ ახალ სახლში სხვა და სხვა საბავშვო სახლებიდან გადმოყვანილია 50 ბავშვი. დანარჩენი 50 ბავშვი წამოყვანილი იქნება უბინაო ბავშვების რიცხვიდან. სადონდო კომისიის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა, რომ გადიდდეს საკვები რიცხვის მიცემა 50 ბავშისათვის.

— **ლიტერატურული ხუთშაბათი.** 6 აპრილს ხელოვნების სასახლეში გაიმართება მორიგი საღამო. კოკი აბაშელი წაიკითხავს: გალაკტიონ ტაბიძის „პოეზია“.

— **აღმოსავლურ მუსიკის საღამო.** მსახიობ და პოეზიის მოყვარულ ვ. ბოქუჩიაშვილის ხელმძღვანელობით მცირე თეატრში 12 აპრილს გაიმართება საინტერესო საღამო აღმოსავლურ ხელოვნების შესახებ.

— **ილიონი.** ახლო ხანში გამოვა ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი „ილიონი“.

— **შრომის დაცვის კანონების დარღვევისთვის.** შრომის დაცვის კოლეგიამ შრომის დაცვის კანონის დარღვევისთვის დააჯარიმა [illegible] მეწარმეები: 5.000 000 მანეთის გადახდით თვითეული 1)—[illegible]ცი, მ., ქტ. საჭოვი, 3) აღაევი ისმაილი 3.000 000 მანეთით—თვითეულს 4) ქალიევი აბასი, 5) ხანიფ მასალ-ოღლი, 6) ლევიშვილი ლ. 7) დულონიძე და ასკილაშვილი, 8) ბახტაძე ილარიონი 2,000,000 მანეთით, 9) ს. ობაძე.

— **აღმშენებლობის პროფკავშირში.** ამხ. ვორონინის თავმჯდომარეობით აღმშენებლობის პროფკავშირში მუშავდება სწორე ტარიფი კვალიფიკაციურ მუშების შრომის დასაცავად, რათა შეძლება არ მიეცეთ კერძო აღმშენებლებს მუშების ექსპლოატაცია გასწიონ.

შიმშილი საქართველოში

რაჭის მაზრა. საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარმა კომიტეტმა რაჭის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტისგან მიიღო ცნობა, რომ რაჭის მაზრაში 32000 მცხოვრებზე მეტი დამშეულია. მათ შორის უკიდურეს გაჭირვებაში არის 99 კომლი საჭიროა სასწრაფო დახმარება.

ბრძანება

ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტისა.

1. ა. წ. 4 აპრილს ტფილისში დაიწყება სავაჭრო-სამრეწველო, სახელოსნო და შინა მრეწველების დაწესებულებათა ბინების (დარაბების) აღწერა.

2. აღწერას აწარმოებენ ალმასკომის აგენტები, რომელთაც თან ექნებათ განსაკუთრებული მანდატები.

3. სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა პატრონები ვალდებულნი არიან აღწერის დღეებში ღიათ იქონიონ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი და დაწესებულ დროის განმავლობაში წინდაწინვე მოამზადონ ყოველგვარი დოკუმენტები და ცნობები, მაგ.: ა) რამდენი ხანი უჭირავს აღნიშნული ბინა (დარაბები), ბ) რამდენს აძლევს ქალაქს თვეში დარაბის ფასს, გ) რომელი თვის შემოიტანა სადარაბო გადასახადი უკანასკნელად ქალაქის სალაროში, დ) რამდენს იხდის პატენტის ფასს, ე) სარეწავო გადასახადის რაოდენობა 1921 წ., ვ) თანხის ბრუნვის საერთო რაოდენობა 1921 წლ., ზ) კომპანიონების რაოდენობა, მათი რაოდენობა და ქვეშევრდომობა, თ) მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა, ი) სრული აღწერა, როგორც ბინის (დარაბის) განუყოფელ ინვენტარის (თაროები, დაზგები, კედლის შკაფები და სხვა), აგრეთვე იმ ინვენტარის, რომელიც მოიჯარადრეს ხელშია, მაგრამ მას არ ეკუთვნის.

ყველა ეს ცნობები მოცემული უნდა იქნეს დოკუმენტების ჩვენებით.

4. მილიციის და აგრეთვე ქალაქის ხარჯთ-ამკრებ აგენტებს ევალებათ აღმოუჩინონ ამწერლებს ყოველივე დახმარება მოვალეობის ასრულებაში.

ალმასკომის თავმჯდომარე
მ. ი. წოვწიაძე.
მდივნის მაგიერ ადამაია.

ტფილისის ელექტრო-მექანიკური ქარხანა

ბოლო დროს ზოგიერთ ლაპარაკობენ ტფილისის ელექტრო-მექანიკურ ქარხანაზედ და [illegible] ახალ მოწყობილ რადიო სადგურზედ. [illegible] განსაკუთრებით [illegible] ჩვენი ქვეყნის [illegible] ამ დიდი საქმის მოგვარებით.

ჩვენ გვაინტერესებდა თვითონ გვენახა და გაგვეგო, რაშია საქმე, რა გადათდა ჩვენ ქვეყანაში ასეთი [illegible].

როგორც ფუნქტ-მელურგიის კომისარმა [illegible], განსაკუთრებით [illegible] ალექსანდრეს, პატივი [illegible]

ქარხანა და სადგური, თვითონაც დაგვიხმარა და მოგვცა საჭირო ახსნა-განმარტებანი.

მარტის 29-ს დავათვალიერეთ ელექტრო მექანიკური ქარხანა.

მართალი უნდა ვსთქვათ, არ მოველოდით ასეთ სანახაობას. არ გვეგონა თუ ეხლა, ამდენი ხნის ნგრევის შემდეგ, როცა არამც თუ ახლო არაფერი გაკეთებულა, ძველის შეკეთებასაც ვერ ვახერხებდით, არ გვეგონა თუ ასეთ დროს შესაძლებელი იყო აქ ტფილისში, საკუთარი ძალებით ადგილობრივი საშუალებებით მოსახერხებელი იყო ასეთი ქარხნის გამართვა.

ტფილისის ელექტრო-მექანიკური ქარხანა, რომელიც მოწყობილია ალექსანდრე ყამარაულის თაოსნობით და მისივე საკუთარი ხელებით და პირადი შრომით, გამართულია ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს მეზობლად, სამხედრო ქუჩაზედ. ჩვენ დავათვალიერეთ ქარხნის 27 განყოფილება. ზოგი მათგანი სრულიად დამთავრებულია, ზოგიც სანახევროდაა მოწყობილი, მაგრამ ყველა განყოფილება მუშაობს.

აი აგერ ჩამოსასხმელი განყოფილება მზადდება ტყვიისა და თუჯის (цинк) ჩამოსასხმელი ღუმელი, ეხლა სდგამენ სპილენძისა და თუჯის ჩამოსასხმელ ღუმელს. აგერ სამჭედლო მუშაობს ჯერ ერთი ქურა ელექტრონის საბერველით და მაზუთით ნახშირის მაგიერ. ეკონომია დიდია. კიდევ აწყობენ ორ ასეთსავე ქურას და მოტორით სამუშაო უროს. შესადუღებელ განყოფილებაში არის აპარატები, რომლის საშუალებით ჟეტილინისა და მჟავბადის შეერთებით გაჩენილი ცეცხლის შემწეობით შეიძლება ყოველნაირი ლითონი ერთი მეორეს შეადუღონ. ჰალვანოსტეგიურ (галвано—пластич.) განყოფილებაში ელექტრონის საშუალებით ლითონს ფერავენ ნიკელში, ოქროში, ვერცხლში და სხვ. ლაბორატორიაში დაგროვილა ყოველგვარი საწონ-საზომი ხელსაწყობი უმაღლესი ხარისხისა. აქვეა საცდელი რადიო-სადგური, ქარხანაში გაკეთებული ნაწილების შესამოწმებლად. აქვეა ქიმიური ლაბორატორიაც. აგერ მდიდარი ტეხნიკური ბიბლიოთეკა. აი მექანიკური განყოფილება, სახარატო, საზეინკლო, წასაგრაგნი (омбмоточная) სსანდალაზო (лакировочная), საკუთარი ლითოგრაფია და სხვა. ყველა ამ განყოფილებებში აწარმოებენ არა მარტო ძველი აპარატების და მანქანების შეკეთების, არამედ ამზადებენ სრულიად ახალ ნაწილებს და აპარატებს. შემდეგ ეს ნაწილები მიდის შესაკრებ განყოფილებებში და იქ აშენებენ მათგან ახალ აპარატებს: ტელეფონის, ტელეგრაფის, რადიო-ტელეგრაფის და აგრეთვე სხვა მანქანებს. დღემდის ყოველივე ეს უცხოეთიდან უნდა მოეტანათ და მამასისხლად ჯდებოდა, ეხლა აქვე კეთდება და არა თითო-ოროლა, არამედ საჭიროების დროს მასიურად. ქარხანა უკვე ღებულობს შეკვეთებს მეზობელ რესპუბლიკებიდან. ასე მაგალითად იკისრეს გააკეთონ აფხაზეთისათვის ათ კილოუატიანი რადიო-სადგური. ჩვენი შინამრეწველობის კომიტეტს შეუკვეთია 500 შაქვა და სხვა. უმთავრესად კი ქარხანა მუშაობს ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაზედ და მას ანდომებს თითქმის მთელ დროს. ამ შეკვეთებს კი ასრულებს სხვათა შორის.

მეორე დღეს დავათვალიერეთ ნავთლუღის რადიო-სადგურზედ ნათელი წარმოდგენა არ მქონდა, მაგრამ ამაში მაინც ვიყავ დარწმუნებული, რომ მისი მოწყობა ჩვენში არავის შეეძლო. და აკი ასედაც ხდებოდა. მენშევიკების დროს გერმანელებმა მოაწყეს აქ რადიო სადგური.

თვითმპყრობელობის დროს ნავთლუღში ყოფილა სამ კილოუატიანი რადიო-სადგური, რომელთაც შესაძლო იყო დალაპარაკება მახლობელ ქალაქებთან. შემდეგ გერმანელებმა აქავე მოაწყვეს 15 კილოუატიანი სადგური 60 საჟენიანი ანძით. მენშევიკებმა წასვლისას, რასაკვირველია, ორივე სადგური მოშალეს გააფუჭეს და რომ ვეღარ განეახლებიათ უსაჭიროესი ნაწილები თან წაიღეს.

ასეთ მდგომარეობაში დახვდათ ეს სადგური ბოლშევიკებს. მაშინვე მიუნდვიათ ერთი ინჟინერისათვის სადგურის აღდგენა, მაგრამ არაფერი გამოსულა. ბოლოს საქმეს შესდგომია თვითონ ალექსანდრე ყამარაული, მაშინ ფოსტა-ტელეგრაფის კომისარი. 1-ნახ. თვის განმავლობაში ის არ გაშორებია ნავთლუღს და მუშაობდა შეუსვენებლად, თავის დაუზოგველად. და მოაწყო თითქმის სრულიად ახალი რადიო-სადგური, ტეხნიკის უკანასკნელი მოთხოვნილების თანახმად და არა 15 კილოუატიანი, როგორც გერმანელებს ჰქონდათ, არამედ 30 კილოუატიანი. ეხლა ნავთლუღის სადგური თავისუფლად ელაპარაკება ნაუენს (გერმანიაში), რომს (იტალიაში), და სხვა შორეულ პუნქტებს, რაც შეუძლებელი იყო გერმანელების დროსაც კი.

ყოველივე ამის შემდეგ პირდაპირ განცვიფრებული რჩება კაცი. თურმე რა შესძლებია ღვთიური ნიჭით დაჯილდოვებულ კაცის ერთგულ მარჯვენას? ჩვენ არ ვიცით, როგორ გადავუხადოთ მადლობა ამხანაგ ყამარაულებს ამ დიდი ეროვნული საქმისათვის. მშრომელი საქართველო არ დაივიწყებს მათ ამაგს და ღვაწლს!

ჰ. ვ.

პატარა დღესასწაული

მივიწყებული სკოლა. კარგა ხანია ჩვენ ცხოვრებაში შეჩერდა ყოველივე საზოგადოების მიერ დაწყებული საქმე. კარგახანია თვით ხალხს აღარა აგონდება რა, თუ რა გაკეთებულა ჩვენში, რომელ საქმის განწესრიგებაში ელებდა სულიერ დაკმაყოფილებას.

აი, ასეთ მივიწყებულ საქმეთ უნდა ჩაითვალოს „განათლების“ საზოგადოების სამხატვრო-სახელოსნო სკოლა ხარფუხში. ეს სკოლა „განათლების“ საზოგადოებისა აღარ არის, რადგანაც ხსენებული საზოგადოება თითქმის მიყუჩებულია, ის ანგარიშს უწევს აუტანელ პირობებს და უსახსრობისა, გამო ათი წლის ნაამაგდარი სასწავლებელი, იძულებული გახდა გადაეცა შინა მრეწველობის განყოფილების მფარველობის ქვეშ.

ეს სკოლა ქართველ ხალხისთვის არც ისე უცნობია. რამდენჯერმე მოაწყო გამოფენა, წარსულ წლებში, მშვენიერ ხელსაქმისა, რის შესახებაც ბევრმა ილაპარაკა გაზეთებში. კულტურული მუშაობაც შეძლებისდაგვარად სწარმოებს, ჰმართავს თავისივე შენობაში, საღამოებს, დილა წარმოდგენებს, რაც ბ-ნ ფირუზას არა ერთხელ აღუნიშნავს.

მაგრამ ამ ბოლო დროს მეტად საინტერესო გახდა ეს სკოლა თავის ხელსაქმით. შინა მრეწველობის განყოფილების თანამშრომელ მხატვარ სტრაუმეს წყალობით არა ჩვეულებრივი დავიწყებული ძველებური ქართული სახეები აღსდგა და ჰქსოვენ და ქარგავენ აბრეშუმის ძაფით. მოწაფეები, მცირედი გამოკლებით, თითქმის სოფლიდან არიან ჩამოსულნი და მუყაითი მუშაობით ახალისებს ამ სკოლის სათავეში მდგომი მზრუნველი მარიამ მაჩაბლის ასული.

... და დღეს, კვირას დილის 12 საათზე ამ სასწავლებლის ათი წლის დაარსების დღესასწაულია.

ამ დღესასწაულს სკოლავე მართავს.

მე მგონია არც ერთმა არ უნდა დაიზაროს ჩასვლა ამ სკოლაში არა იმიტომ, რომ იქ დღეს დღესასწაულია, არამედ იქ ნახავს ნაყოფს ამ ათი წლის მოღვაწეობისას; შედეგს იმ მიზნებისას, რასაც ელტვოდნენ ამ სკოლის მფარველნი.

ქეთევან წამებული.

თეატრი და ხელოვნება

ოლღა ალექსანდრეს ასული შულგინა.

ამა წლის აპრილის 2-ს ხელოვანთა სცენის მუშაკთა და აგრეთვე ფართო მასა წმინდა ხელოვნების მოყვარული, მართავენ ოლღა ალექსანდრეს ასული შულგინას 20 წლის იუბილეს, მისი არტისტიული და სახელოვანი მოღვაწეობის აღსანიშნავად.

ქალ. ტფილისის მოქალაქე ქართველს (მამით ბახუტაშვილი) თამამად შეუძლია სთქვას: „სათანადო წვლილი ხელოვნებისთვის მე გავიღე შიშით კი არა, სინიდისით ვემსახურებოდიო საყვარელ საქმეს“.

განა დიდი ხანია მას შემდეგ, მაგრამ თითქო გუშინ იყო. ტფილისის (მაშინ კიდევ) მუსიკალური სასწავლებლის მოწაფეთა შორის გამოჩნდა ახალგაზრდა ქალწული, რომელმაც მიიქცია ყურადღება, თავისი მუსიკალობით. ეს იყო ოლღა ბახუტაშვილი, რომელიც მიღებულ იქნა რიადნოვის კლასში. მაგრამ დიდხანს არ უმეცადინია მასთან. რიადნოვი გადაიყვანეს მუსიკალურ სასწავლებელში და გაემგზავრა მოსკოვს. ის შესცვალა გამოჩენილმა ტენორმა ლოდიმ. მაგრამ ეს პროფესორიც მალე შესცვალა დირექციის მიერ იტალიიდან მოპატიჟებულმა მილანის კონსერვატორიის პროფესორმა სონციმ, რომლის კლასშიაც გადაყვანილ იქნა ო. ბახუტაშვილი. სონცის კლასით მან წარმატებით დაამთავრა ტფილისის სასწავლებელი. საოპერო მომღერლის მოღვაწეობისთვის მოსამზადებლად ო. ბახუტაშვილი (რომელიც გაჰყვა ტფილისის ერთ-ერთ გიმნაზიის მასწავლებელს შულგინს) გაემგზავრა პეტერბურგს კონსერვატორიის პროფესორ, განთქმულ საოპერო მომღერალ პრიანიშნიკოვთან, სადაც, პარალელურად, ამზადებდა საოპერო რეპერტუარს.

მას ყურადღება მიაქცია მაშინ სახელგანთქმულმა ანტრეპრენიორმა ბორდოიმ, რომელსაც საუკეთესო დასი ჰყავდა კიევში. კიევის დასი საუკეთესოდ ითვლებოდა პროვინციაში, როგორც დასის შემადგენლობით, ისე იმ გამარჯვებითაც, რომლითაც ექიშპებოდა სატახტო ქალაქების საიმპერატორო საოპერო სცენას. არა ერთი ჩინებული მომღერლები მიუცია საზოგადოებისთვის კიევის საოპერო სცენას. ტფილისამდისაც მოვიდა ამბავი შულგინას გამარჯვების შესახებ. მომღერალი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამი წელიწადი მუშაობდა სცენაზე, ხშირად მიემგზავრებოდა იტალიელ პროფესორ ჯუზეპე ბროჯთან და ვიზალთან, რასაც შედეგად მოჰყვა დასრულებული სახის მიღება, პარტიის დრამატიული გაგება, მშვენიერი bel-canto. შულგინა მღერის რუსეთის მთელ სამხრეთში და არა ერთხელ ჰპატიჟობენ დიდი საოპერო სცენებზე. იგი არის მთელ რიგ სეზონებში კიევში, ოდესაში და ბოლოს მიწვეულ იქმნა მოსკოვის საიმპერატორო საოპერო თეატრში, მაგრამ იქ დიდხანს არ დარჩენილა და სამსახური არჩია კერძო სცენაზე სალადოვნიკოვის თეატრში, სადაც საუკეთესო დასი ჰყავდა ანტრეპრენიორს კოლენიკოვს, რომელსაც მიზნად დასახული ჰქონდა, უმეტესად, მხატვრულ ოპერის მიზნების მიღწევა.

ნათქვამია „შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო“ და შულგინაც ტფილისის საოპერო სცენაზე მიწვეულ იქნა მხოლოდ მის განვითარების შემდეგ და მღეროდა აქ ზედიზედ რამოდენიმე სეზონს, ლირიულ და აგრეთვე დრამატიულ soprano-ს პარტიებს (აიდა, ჯიაკონდა, იაროსლავნა). მის მიერ პარტიის დრამატიული გაგება ყოველთვის სწორი იყო. საოპერო ხელოვნების დამფასებელნი არასოდეს არ დაივიწყებენ მომღერალ ქალის მიერ შესრულებულ პარტიებს („ვერტერში“—შარლოტა,—მარტა—„ბარში“, „m-me ბატერფლეი“ პუჩინის უკანასკნელი პარტია საუკეთესოდ ითვლება მის ვრცელ საოპერო რეპერტუარში, რომლითაც არა ერთხელ გაუტაცნია მსმენელნი.

მეტად ძნელია განთქმულ მომღერლისთვის დროზე შეჩერება და სცენის მიტოვება.

შულგინა მეტად დიდი მსახიობია, რომ ითქვას, დროა მისი სცენის ჩამოსვლაო; რა თქმა უნდა არა. მაგრამ მასში აისახა მსახიობის მხატვრული სახე და სთქვა: „მე არ მინდა საზოგადოების მიერ გამოთქმული აღტაცება, ჩემი დამსახურებით გამოწვეული. გზა უნდა მივცეთ ახალგაზრდა ძალებს“.

სულ სხვა საკითხია რამდენად ამ „ახალგაზრდა ძალებმა“ შესცვალეს შულგინა. მისი ვარსკვლავი ახლაც ბრწყინავს. დეე, დრომ დასტოვოს თავისი კვალი, მაგრამ სკოლა, მუსიკალობა, არტისტიული ასახვა და მომღერლის მხატვრობა ახლაც კაშკაშებენ. შულგინას შეცვლა ძნელია.

იგი ეხლა მუშაობს სახალხო სახლში, სადაც არის მთავარი რეჟისორი საოპერო სცენის და სადაც მისი იქ ყოფნის დროს აგრე რიგად ამაღლდა მხატვრული მიღწევა.

ჰ. ბ.

დიმიტრი ყიფიანი

(გაგრძელება)

რექტორი ამ გვარათ, არც ქართველი ერის მადლიერი იყო და თვით სემინარიის ქართველ მოწაფეებსაც რუსეთის მთავრობის მტრებათ სთვლიდა, ამიტომ მას დაახლოვებული კავშირი ჰქონდა სემინარიაში მოსწავლე რუსის მოწაფე სემენარიელებთან და მათის ჯაშუშობით და ზედამხედველობით თვალყურს ადევნებდა ქართველ სემინარისტებს და ვისაც კი შეამჩნევდა გონიერების და რუსეთის 60 წლების მწერლების პატივისცემას და მათი ნაწერების კითხვას, იმათ ჩამოეკიდებოდა და სდევნიდა სასტიკათ.

ასეთ შეგირდებს იგი თავის ამხანაგებით ღამე სახლში დაეცემოდა ხოლმე და ჩხრეკავდა, ვისაც კი რამე ახალი დროის, ან სოციალურ წიგნს უნახავდა, იმ მოწაფეს მეორე დღეს სემინარიიდან რიცხავდა და ამ გამორიცხვას სემინარიის საბჭოც ეთანხმებოდა და ეგზარხოსიც მაშინვე ამტკიცებდა. რექტორმა შეიტყო კარგათ, რომ პისარევის და მის დროის რუსის მწერლების ნაწერები დიდათ არის გავრცელებული და მას ყველა ქართველი სემინარიელი სახარების მსგავსად უმზერისო.

ამიტომაც რექტორი აი რას შვრებოდა: ღამე როცა სემენარისტები დაიძინებდნენ, მაშინ იგი ჩაიცვამდა ფეხზედ ჩუსტებს, ავიდოდა შეგირდების საძილე ოთახებში და ჩუმათ და ნელა დაუწყებდა სემინარისტებს ნელა და ჩუმათ ჩხრეკას, უშინჯავდა ბალიშს ქვეშ, ლოგინ ქვეშ, ჯიბეებში და ვისაც კი რამე წიგნს უნახავდა, ეს წიგნები მას ჩუმათ მიჰქონდა. მეორე დღეს ასეთ მოწაფეს რიცხავდა სემინარიიდან და ზოგს ჟანდარმის გამგეობაშიც აბეზღებდა და აპერინებდა.

ამგვარად სემინარიიდამ რექტორმა ძრიელ ბევრი შეგირდები გამორიცხა ზოგი ისეთი ქართველი მოწაფეც, რომელიც VI კლასის იყო, ზოგი V კლასის, IV კლასის და 3, 2 და კლასი, მოწაფეებსაც. მისთვის კმაროდა, რომ ვისთვისმე რამე წიგნი ენახა, ნამეტურ დიმ. პისარევის ნაწერის რამე შეემჩნია, ან პისარევის შესახებ ერთი სიტყვა, ან მისი ნაწერების მოწონება გაეგო. იგი ასეთ შეგირდებს დღეს უქრობდა, იმ წუთშივე რიცხავდა სემინარიიდამ და ღუპავდა მათ. რექტორმა პისარევის წიგნების კითხვის გამო ერთ დღეს გამორიცხა ოთხი საუკეთესო შეგირდი; რაჟდენ მაღლაკელიძე, გოლა ჩიტაძე, რომანოზ ფანცხავა და ერთიც სხვა. ესენი იყვნენ მაშინდელს სემინარიაში პირველ ხარისხის მოწაფენი.

საქმე ისე უკუღმართათ დატრიალდა, რომ მთელი ტფილისის ქუჩები გაივსო სემინარიიდამ გამორეკილი შეგირდებით, ნამეტურ ალექსანდრეს ბაღში რომ გაგევლოთ, იქ სკამზედ მხლომარედ ნახავდით საბრალო სემინარიელებს. უმეტესი ნაწილი მათი შიმშილით ატარებდენ დროს და არსად გზა არა ჰქონდათ მათ წასვლის, ან სხვა სასწავლებლის გადასვლის, ვინაიდგან მოწმობაში ყველას ყოფა-ქცევის ცუდი ნიშნები ჰქონდათ დასმული, მაშინდელი მთავრობა ამ გარემოებას რომ დიდათ აქცევდა ყურადღებას და ასეთ შეგირდებს ყველგან გზა დახერგილი ჰქონდა სადმე სასწავლებელში შესვლის.

იოსებ ლადიაშვილი და რექტორ ჩუდეცკის მოკვლა

ჯაშუშების დახმარებით შეიტყო რექტორმა, რომ მოწაფე იოსებ ლადიაშვილი კითხულობს რუსულს აკრძალულ წიგნებს და პისარევის ნაწერები მას უბით შემოაქვს სემინარიაში და სხვებსაც აკითხებსო. ამ დაბეზღების საშუალებით, მან ლადიაშვილს დაუწყო ყურადღების მიპყრობა და ხანდისხან ასეთებს ლაპარაკშიაც იწვევდა, რომ მის პირიდან შეეტყო რამე და ნამეტურ პისარევის ხსენება და მის შემდეგ იგი დღეს გაუქრობდა მას.

ამგვარად რექტორი ბევრს ეცადა პისარევის მწერლობის შესახებ კამათიც გამართა და შეგირდებიდან იწვევდა პასუხების მიცემას, მაგრამ მაინც ვერა გააწყო რა ლადიაშვილის პირიდან ვერა შეიტყო რა. თუმცა შეგირდებს იმასაც ეუბნებოდა, რომ ვისაც რა გაქვთ გულში მითხარით მე, მომეცით პასუხი და გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ მე მათ გამო არ დაგსჯით, არამედ მე დაგარწმუნებთ მაშინ ჩემის ახსნით თქვენს შეცდომებზეო.

მაინც შეგირდებს ყველას ეშინოდათ და ამ დისპუტების დროს პასუხს არავინ აძლევდა. რაკი ლადიაშვილის შესახებ ვერა შეიტყო რა და ვერაფერი გამოსტყუა მის პირიდან, მის მერე მას დაუწყო ჩხრეკა ღამე და ძებნა, მაგრამ მაინც ვერაფერი უპოვნა. ერთ დღეს ლადიაშვილი მან სემინარიაში შემავალი ნახა, მაშინათვე დაიჭირა, გაჩხრიკა ჯიბეები, უბეები და ქამრის ქვეშ გამოკრული უნახა ერთი წიგნი, ეს წიგნი მაშინათვე გამოსტაცა და იგი აღმოჩნდა პისარევის მეხუთე ტომი. რექტორი კი დამშვიდდა, რაკი ლადიაშვილი დაიჭირა დანაშაულობაში, როჯესაც იგი სასტიკად სძულდა და მაშინათვე დაუყვირა ასე:

„ეხლა შენ ჩემს ხელში ხარ, მე გიწვევდით თქვენ პისარევის ნაწერების შესახებ დისპუტებში და შენ მიტომ არ მაძლევდი პასუხს, რომ შენ თურმე პისარევის წიგნები აქ სემინარიაშიაც შემოგაქვს და შენს გარდა სხვა შეგირდებსაც აკითხებ, ეხლა მე ვიცი შენი.“

ასე დაემუქრა რექტორი ლადიაშვილს, იმავე დღის სემინარიის საბჭოში მოახდინა საჩქარო კრება, იქ დადგენილი იქმნა ლადიაშვილის სემინარიიდან გარიცხვა.

ეს ამბავი ლადიაშვილმა შეიტყო, იგი შევიდა რექტორთან, დაუჩოქა მუხლებზედ და სთხოვდა პატიებას ასე!

„მე ღარიბი დიაკვნის შვილი ვარ, ნუ დამღუპავთ, ნუ გამრიცხავთ, ტფილისში მე ნათესავი და ნაცნობი არავინა მყავს, რომ გამრიცხოთ სემინარიიდამ, მაშინ აბა სად წავიდე, ვისთან შევაფარო თავი, ნუ დამღუპავთ და მოგცემთ ფიცს, რომ დღეის შემდეგ მე თქვენს ნებადაურთველად აღარასფერს წიგნს აღარ წავიკითხავ სემინარიაშიაც აღარასფერს შემოვიტან, კარში ფეხსაც აღარ გავდგამ.“

ასე ემუდარებოდა ლადიაშვილი რექტორს და ეხვეწებოდა სახლში წასვლამდის მაინც სემინარიაში დატოვებას, მაგრამ რექტორი მაინც ჯიუტზე იდგა და ლადიაშვილს მუქარებით ეუბნებოდა ასეთ სიტყვებს:

ეგ ჩემი საქმე არ არის, ეგ ეგზარხოსის საქმეა. მე შენი დატოვება სემინარიაში არ შემიძლიან, საბჭომ დაადგინა შენი გაძევება. ეხლა ეგზარხოსთან წავა გადაწყვეტილება დასამტკიცებლათ.

ასეთი პასუხი მისცა ლადიაშვილს, თან დაუყვირა, რომ ადე და გადიოდე წადი აქედამაო. ლადიაშვილსაც მეტი გზა არ ჰქონდა, გამოვიდა კარში და მან მაშინათვე გადაწყვიტა გულში რექტორის მოკვლა. იმ დღეს მან იშოვნა ერთი კარგი გამჭრელი დანა და მეორე დღეს როცა უნდა აეკრიფა ამას თავის გუდა-ნაბადი და უნდა გამოსულიყო სემინარიიდამ კარში, სწორედ ამ დროს იგი რექტორს დახვდა კიბეზედ მიმავალს, უცბათ სასიკვდილოთ გამოფაშვა რექტორი.

მალე მოკლა რექტორი და თვითონაც იქვე დადგა, არ გაიქცა. ფეხიც არ მოუცვლია და გამჭრელი დანაც ხელში ეჭირა სისხლიანი.

ამ დღეს ისეთი ამბავი მოხდა, რაც ქალაქ ტფილისს იგი არას დროს არ ენახა. ლადიაშვილი იმ დღესვე გაგზავნეს მეტეხის ციხეში და საბრალომ იქ იპოვნა თავის თავშესაფარი, სახლი პისარევის წიგნების კითხვის გამო.

ყველაზედ დიდათ კი ამ გარემოებამ დაღონა ქართველი ერი და ნამეტურ ტფ. სამღვდელოება და მასთან თვით ქართველი თავად-აზნაურობაც. მართალია ქართველი ერი დიდათ აღშფოთდა ამ გარემოებაზედ, მაგრამ მაინც ქართველნი გულს არ იტეხდნენ, ვინაიდგან მათ იცოდნენ კარგათ საქმის გარემოება და ის ბორონტების ცნობებიც, თუ რამ გამოიწვია, რომ სემინარიის მოწაფემ გაბედა და სემინარიის რექტორი მოკლა. ეს მაშინ მეტად მძიმე და ძნელი საქმე იყო.

ამ მკვლელობისაგან აღშფოთებული იყო თვით ეგზარხოსიც და ის კი იმას არ აკვირდებოდა თუ ეს სიკვდილი რამ გამოიწვია და რა გახდა მისი მიზეზი. ერთი შეუგნებლობა ეტყობოდა არა მარტოთ რუსის ხულიგან ეგზარხოს, რომელიც მტერი იყო რუსეთის ერის სოციალურად განვითარების შესახებ, არამედ ასევე იყვნენ დარაზმულები და აყეფებულნი ყველა რუსის იმ დროინდელი რუსის ხულიგან-პატრიოტები. ამიტომ ყველა იგინი სწყევლიდენ იოსებ ლადიაშვილს და უთვლიდნენ დიდს წყევლა შეჩვენებას. მიუხედავად ამისა, ლადიაშვილს ბევრი თანამგრძნობნიც გამოუჩნდნენ და დვით სამართალში საქმის დამცველად მას გაუხდა ვექილი ტურკევიჩი, რომელიც დღესაც კარგად არის და რომელიც ბევრს რამეს დაასაბუთებს ამის შესახებ.

ბევრი დავი-დარაბის და სამზადისის შემდეგ მოაწყეს რექტორის დასაფლავებაც, ერთ დღეს გამოასვენეს რექტორი, უკან მისდევენ სულ რუსის ხულიგნები და წინ კიდევ სამღვდელოება. სხვა ამათ მეტი იქ არავინ იყო. არავინ იყო არც პრესიდამ, არც სამოქალაქო მთავრობიდამ, რადგანაც ყველანი იცნობდნენ რექტორს როგორც დაუძინებელს მტერს არა მარტოთ ქართველი ერისა, არამედ ახალის რუსეთის განვითარების და სოციალურად დაწინაურებების მთელი რუსეთის ერისა ეს. იყო სულ ამის მიზეზი და რექტორის სიკვდილის მიზეზათ სთვლიდნენ თვით მის ბიუროტებას და იმ მტრობას, რითაც იგი ეპყრობოდა არა მარტო ქართველ შეგირდებს, არამედ რუსებსაც.

(შემდეგი იქნება)

ზ. ჭიჭინაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

ტირაჟი 500